



რეკომენდაციები დიალიზზე მყოფი პაციენტებისა და მათი მომვლელებისათვის/თანმხლები პირებისთვის კორონავირუსისა და სხვა ინფექციების თავიდან ასაცილებლად

- გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი, თქვენი ოჯახის წევრებისა და თქვენთან ახლო კონტაქტში მყოფი პირების ბოლო 14 დღის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ მოგზაურობის ისტორიის შესახებ.
- გთხოვთ დაუყოვნებლივ დაურეკოთ თქვენი სადიალიზო ცენტრის ექიმს, თუ გაწუხებთ ხველა, ტემპერატურის მატება, ყელის ტკივილი, სურდო, სუნთქვის გაძნელება. სატელეფონო საუბრის შემდეგ ექიმი გადაწყვეტს კვლევების ტაქტიკას და ასევე სად ჩატარდეს კვლევა.
- გთხოვთ არ მოზრძანდეთ დიალიზის სეანსამდე დიდი ხნით ადრე, მოზრძანდით დიალიზის სეანსამდე 15 წთ-ით ადრე
- კლინიკაში მოსვლის შემდეგ გთხოვთ დაიცვათ დისტანცია (არანაკლებ 1.5მ), განაწილდეთ ორივე მოსაცდელ სივრცეში და რიგის მიხედვით აუქჩარებლად და სათანადო დისტანციის დაცვით გაემართოთ თქვენთვის განკუთვნილ სადიალიზო ადგილამდე

თითოეული ცვლის დასრულების შემდეგ სადიალიზო სივრცე

1. განიაველება
2. ჩატარდება დეზინფექცია და მყარი ზედაპირების დამუშავება სველი წესით.

ახალი ცვლის პაციენტების მიღება მოხდება მხოლოდ ზემოხსენებული პროცედურების დასრულების შემდეგ!

- კლინიკაში შესვლისას სადიალიზო სივრცეში შესვლამდე ჩატარდება დიალიზის პაციენტის თერმოკონტროლი.
- სადიალიზო სივრცეში შესვლამდე პაციენტმა უნდა გამოიცვალოს ფეხსაცმელი ან ჩაიცვას ბახილები, დატოვოს ქურთუკი და ჩანთა კარადაში, დაიბანოს ხელები საპნითა და წყლით 20 წამის განმავლობაში და შემდეგ დაიმუშავოს სადეზინფექციო ხსნარით.
- დიალიზის მსვლელობისას პაციენტს უნდა ეკეთოს პირბადე , რეკომენდებულია სეანსის დროს არ მიიღოს საკვები, შაქრის ციფრების ვარდნის აცილების მიზნით სასურველია იქონიოს კანფეტი.



- დიალიზის სეანსზე პაციენტს არ უნდა ეკეთოს საათი, სამაჯური, ბეჭდი.
- პაციენტმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი დიალიზის სეანსის გადაცვლისგან.
- პაციენტმა თავი უნდა აარიდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მაგზავრობას; თუმცა ასეთის შემთხვევაში მას უნდა ეკეთოს პირბადე, უნდა მოერიდოს ხელეების დაბინძურებას, თან ატაროს და ხშირად გამოიყენოს ალკოჰოლის შემცველი სველი ხელსახოცი/სადეზინფექციო ხსნარი.
- პაციენტი უნდა მოერიდოს კონტაქტს პირებთან, რომლებსაც აქვთ სურდო ან გრიპისმაგვარი სხვა სიმპტომები.

დიალიზის პაციენტების მომვლელები/თანმხლები პირები სადიალიზო სივრცეში არ დაიშვებიან, გამონაკლის შემთხვევაში (მოძრაობას ან მხედველობას უნარმოკლებული პაციენტების მომვლელები/თანმხლები პირები) შესვლამდე უნდა დატოვონ ქურთუკი კარადაში, გაიკეთონ ნიღაბი, ჩაიცვან ბახილები, დაიბანონ ხელი საპნითა და წყლით 20 წამის განმავლობაში, დაიმუშავონ სადეზინფექციო ხსნარით.

- დიალიზის პაციენტის ოჯახის წევრები, მომვლელები და თანმხლები პირები უნდა იღებდნენ კორონავირუსით დასნებოვნების პროფილაქტიკის ზომებს, უნდა იზომავდნენ ტემპერატურას რეგულარულად, რათა არ მოხდეს დიალიზის პაციენტზე დაავადების გადატანა. ასევე უნდა იცავდნენ ჰიგიენას, იბანდნენ ხელებს ხშირად და დაუყოვნებლივ შეატყობინონ მედპერსონალს კონტაქტში მყოფი პირების ავად გახდომის შესახებ.

რეკომენდაციის წყაროები:

- *NCDC დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*
- *ISN ნეფროლოგიის საერთაშორისო საზოგადოება*
- *ERA EDTA ევროპის თირკმლის ასოციაცია - ევროპის დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის ასოციაცია*
- *DNT UNION საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი*

